რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 17 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 12 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 12

# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

## ყოველ დღიურ გაზეთებზე

## „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბანვორი კრივ“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით — **12** მან., ერთი თვით — **2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

---

### ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სიყწროვის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულად გადასცონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს (კავკასიის ბანკი)

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

---

### მენშევიკები და ამიერკავკასიის სეიმი.

ამ ორი თვის წინეთ ქართველმა მენშევიკებმა მემარჯვენე ესერებთან და დაშნაკცელებთან შეთანხმებით შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი. ფაქტიურათ ეს ნიშნავდა ამიერ-კავკასიის გამოთიშვას რუსეთიდან და აქ დამოუკიდებელი მთავრობის დაარსებას.

რით ხელმძღვანელობდენ ეს პარტიები, ან რა მიზანი ქონდათ მათ, როცა ისინი ასეთ ნაბიჯს დგამდენ? ბბ. ჟორდანია და გეგეჭკორი გვიმტკიცებდენ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმით იმათ უნდათ ამიერ-კავკასიის ხსნა ანარქიისაგან, თავის დაღწევა ფინანსიური კრიზისისა და ეკონომიური გასაჭირისაგან. გარდა ამისა ჩვენი უებარი რაინდები ისახავენ აგრეთვე უფრო დიდ მიზნებსაც: ისინი გვპირდებოდენ, რომ ადგილობრივი მენშევიკები ზომებს მიიღებენ რუსეთში ისეთი მთავრობის დასამყარებლათ, რომელიც ყველასაგან ცნობილი შეიქნებაო.

დიახ, ყველაფერი ეს მეტათ კარგი დაპირებები იყო, მენშევიკები და ესერები ტკბილ სიტყვებს არ ზოგავდენ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ერთი რამ დაავიწყდათ, სახელდობ ის, რომ ისინი ხალხს არ შეეკითხებიან, უნდოდა თუ არა ხალხს რუსეთიდან გამოყოფა და ცალკე ამიერკავკასიის სახელმწიფოს დაარსება, მეორე: ჩვენ მენშევიკებს დაავიწყდათ ის, თუ რა საშუალებით, რა ღონისძიებით სწადდათ მათ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისის თავიდან აცდენა, შიმშილისაგან გადარჩენა, ანარქიისაგან თავის დაღწევა და სხვ. მაგრამ ასეთ რამეებზე ისინი როდი ფიქრობდენ. იმათ აწუხებდა სულ სხვა გარემოება. ისინი ფიქრობდენ მხოლოთ ოქტომბრის რევოლუციის ტალღებისგან უზრუნველყოფას. ისინი ფიქრობდენ მუშების და გლეხების მთავრობის დასუსტებას და მისთვის ნიადაგის გამოცლას, ვინაიდან პროლეტარიატის და გლეხების დიქტატურას მენშევიკები არ სცნობენ. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები როდი ფიქრობდენ ყველა მიწების გლეხკაცობის ხელში გადაცემას, როგორც ეს სახალხო კომისარების მთავრობამ დააკანონა, ვინაიდან ეს ნიშნავდა ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას, მენშევიკები და ესერები ხომ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან შერიგებას და თანხმობას ამჯობინებენ. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები წინაალმდეგი იყვნენ იმის, რომ ზავის ჩამოსაგდებათ დაუყონებლივ ყოფილიყო მიღებული პრაქტიკული ზომები, რომ გამოქვეყნებულიყო ნიკოლოზ რომანოვის და კერენსკი მთავრობის საიდუმლო ხელშეკრულებანი. ეს ვითომდა სოციალისტური პარტიები ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ წინააღმდეგი არიან იმის, რომ მუშების და გლეხების მთავრობა, რომელიც ეყრდნობა მთელი რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე, ახლავე პრაქტიკულ ნაბიჯებს აკეთებს სოციალიზმისაკენ.

აი რატომ წინაალუდგენ ადგილობრივი მენშევიკები და მემარჯვენე ესერები სახალხო კომისარების საბჭოს და შექნეს ამიერ კავკასიაში ხალხის დაუკითხავათ დამოუკიდებელი მთავრობა. მხოლოთ ბოლშევიკების პარტია წინააღუდგა და დაგმო ასეთი ნაბიჯი ამიერ კავკასიის მენშევიკებისა, ვინაიდან ეს ნიშნავდა რევოლუციის ღალატს და ხალხის ინტერესების გაცემას, ეს ნიშნავდა კავშირს კალედინებთან და კორნილოვებთან. გარდა ამისა, ამიერ კავკასიის მთავრობა ფიქცია იყო, მას არავითარი ნიადაგი არ ქონდა ხალხში, მას არ ყავდა ისეთი რეალური ძალა. რომელზედაც ის უნდა დაყრდნობოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ იმ თავითვე ვამტკიცებდით, რომ ამიერ კავკასიის მთავრობა კომისარიატის სახით არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენს, ის ჰაერში დარჩება გამოკიდებულიო.

ორი თვის პრაქტიკამ სავსებით გაამართლა ჩვენი წინასწარმეტყველობა. რა ზომები მიიღეს მენშევიკებმა, რომ ამიერკავკასიის მთავრობა რეალურ ძალით ექციათ? უპირველეს ყოვლისა ისინი შეუდგენ ნაციონალურ საბჭოების და ნაციონალურ ჯარების ორგანიზაციას. ნაციონალურ საბჭოებში დაუპირდაპირდენ მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატების საბჭოებს, იქ თავი მოიყარეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ-შოვინისტურ ინტელიგენციამ ერთი მხრით და შეძლებული კლასების წარმომადგენლებმა მეორე მხრით ამნაირათ ამიერკავკასიის კომისარიატის გვერდით გაჩნდენ ნაციონალური მთავრობები, რომლებიც ნაციონალურ ჯარს დაეყრდნენ. ამავე დროს გასცეს ბრძანებები, რომ რუსის სალდათები შინ დაბრუნდენ და იმათი ადგილი ნაციონალურ პოლკებმა დაიჭიროსო.

ამნაირათ ამიერკავკასიის კომისარიატი პირდაპირ ჰაერში დარჩა გამოკიდებული: რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან და რუსის ჯართან მან თავის ნებით გასწყვიტა კავშირი; ამიერკავკასიის ერებსა და მას შორის ნაციონალური საბჭოები წამოიჭიმენ თავიანთი ნაციონალური პოლკებით. მართალია როგორც კომისარიატში, ისე ნაციონალურ საბჭოებში მოქმედებენ ერთი და იგივე პარტიები, თითქმის ერთი და იგივე პირები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იმათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი; ბოლოს მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ ნაციონალურმა საბჭოებმა თითქო შთანთქეს ამიერკავკასიის კომისარიატი. მენშევიკები ხალხს რეზოლიუციებს აწერინებდენ ამიერკავკასიის კომისარიატისთვის ნდობის გამოსაცხადებლათ, და თითონ კი თავისი მოქმედებით ნაციონალურ საბჭოს ამაგრებდენ. დღეს ყველაფერი ეს სავსებით გამოაშკარავდა. ბ-მა გეგეჭკორმა, კომისარიატის თავმჯდომარემ, საჯაროთ აღიარა, რომ კომისარიატს არავითარი ძალა და გავლენა არ აქვს, რომ ის შთანქეს ნაციონალურმა საბჭოებმა ნაციონალური პოლკების საშუალებით. გამოირკვა, რომ ეგრეთ წოდებულმა საერთაშორისო სამხედრო საბჭომ, სადაც მენშევიკების ნებადართვით მოიკალათეს აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებმა: ლევანდოვსკიმ, ლებედინსკიმ და მდივანმა, მიითვისა ის უფლებები, რომლებიც კავკასიის ჯარის საბჭოს ეკუთვნოდა.

ამავე დროს ამიერ-კავკასიაში გაძლიერდა ანარქია, ჩნდება შეტაკებები ნაციონალურ ნიადაგზე, ფინანსიურმა კრიზისმა უკიდურეს ხარისხამდე მიაღწია, სიმშილი პირდაპირ კარზე მოგვადგა, — ამიერ-კავკასიის მთავრობა უძლური შეიქნა, ე. ი. მენშევიკების და მემარჯვენე ესერების ტაქტიკა სავსებით გაკოტრდა და დამარცხდა. ამ ტაქტიკამ ისინი მიიყვანა ჩიხში, საიდანაც გამოსავალი არ არის. რა თქმა უნდა მენშევიკები ლამობენ აქედან გამოსავალი იპოვონ. იმათ თითქო კიდევაც იპოვეს ეს გამოსავალი: ეს არის ამიერ-კავკასიის სეიმი. ეს სეიმი უნდა შედგეს, იმათი გადაწყვეტილებით, იმ დეპუტატებიდან, რომლებიც არჩეულ იქნენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის. ამნაირათ მენშევიკები აკეთებენ საქმეს ხალხის ზურგს უკან, მის დაუკითხავათ, როგორც ეს იმათ ჩაიდინეს კომისარიატის შექმნის დროს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ყველა ძველი საფუძველი ძალაში რჩება. ნაციონალური საბჭოები არა

თუ უნდა დარჩენ, არამედ კიდევ უფრო მეტი ძალა უნდა მოიპოვონ. მშრომელი მასსა იქსაქსება, მუშები და გლეხები ნაწილდებიან შოვინისტების და ნაციონალისტების სურვილისამებრ, რაც უმზადებს ნიადაგს ნაციონალისტური შულის გაღვივებას და ზრდას. ამ პირობებში ამიერ-კავკასიის სეიმი ისეთივე ფიქცია შექნება, როგორიც იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატი; ის ვერ დაიხსნის ქვეყანას იმ უბედურებისაგან, რომელსაც ჩვენ დღეს განვიცდით. ამიერ-კავკასიას და მის მცხოვრებთ იხსნის მხოლოთ მჭიდრო კავშირი რუსეთის ხალხთან, ცნობა მუშების და გლეხების მთავრობის, რომელმაც რუსეთი გამოაცხადა მუშების და გლეხების საბჭოების რესპუბლიკათ.

## რევოლიუცია და გლეხ-კაცობა.

„რაც შეიძლება მეტი ძალა უნდა ვიხმაროთ ბურჟუაზიის წინაალმდეგ, რომ ის ყოველი მხრით მოიშალოს. ომი სწორეთ მაშინ დაბოლოვდება. თუ ბურჟუაზიას უდიდესი ძალა არ დავატანეთ, საქმე ცუდათ წავა“ („პრავდა“ № 68,) ეს აზრი არ არის გამოჩენილი ფილოსოფოსის, არც პუბლიცისტ-მწერლის გამოთქმული! არც სხვილ ტანიან წიგნებიდან ამომიწერია, ის ეკუთნის ნახევრათ წერა-კითხვის მცოდნე ჩვენს „ჩამორჩენილ“ პროვინციელ გლეხის („მუჟიკის“) კალამს, რომელიც ასე აბუჩათ ყავთ აგდებული დღეს მრავალ „იმ სოციალისტებს“, რომელნიც ოდესღაც ამ „მუჟიკს“ ძმობას ეფიცებოდენ თვით გაზ. „პრავდას“ კი გადაუბეჭდია ეს წერილი მოსკოვის ბოლშევიკური ცენტ. ორგანო „სოციალ-დემოკრატის“ 59 ნომრიდან.

როგორც მკითხველი ხედავს, წერილის ავტორი ხელებ დაკოჟრებული, უბრალო გლეხია. წერილის მომთავსებელი კი სწორეთ ამ ხელებ დაკოჟრებულებისა და კისერ-ჩაკინგინებულების—ტანჯული მუშების ორგანოა. კითხულობ გლეხების შეხედულებას, მის აზრებს რევოლიუციაზე, ბურჟუაზიაზე და ეკითხები თავს: ნუთუ ეს უბრალო, უსწავლელი გლეხი, რომელმაც არც მარქსი იცის, არც კომინისტური მანიფესტი, არც თუ გნებავთ ნოე ჟორდანია და სხვები! არც თეორიაში შეუსწავლია სოციალიზმი და არც პრაქტიკაში უნახავს იგი, ნუ თუ ეს გლეხი მართლა მეტი რევოლიუციონერი გამოდგა, ვიდრე ჟორდანია-გეგეჭკორ ჩხეიძე - წერეთლები! ან სკობელევ-ჩერნოვ-კერენსკები? კითხავ თავს და არც გჯერა. ან და როგორ უნდა დაიჯერო ეს?.. ამას წინათ გაზ. „დერევენსკაია პრავდაში“, გლეხის წერილი იყო რედაქციის მიმართ. წერილი რედაქტორის მიმართავდა და სწერდა: „ვხედავთ, რომ მთელი სიმართლე თქვენსკენაა, ამხანაგო! ყნოსვით ვგრძნობთ, რომ გვატყუილებენ ესენი, (მენშევიკებზე და ესერებზე უჩვენებდა). მაგრამ რა ვქნათ: ძალა და ცოდნა არ შეგვწევს გამოვსთქვათ ის, რასაც ვგრძნობთ და ვფიქრობთო“. და მართლაც ჩვენს გლეხს აკლია ზოგიერთი გავიჯიშებული სოციალისტი ორატორის მჭერ-მეტყველება, მაგრამ მეტი მჭერ-მეტყველია ის მოთმინება, ის სიჩუმე, რომლითაც რუსეთის ხალხი ცნობილია თვის განაწამებ ისტორიაში. თითქმის ოთხი მთავრობა გამოიცვალა ამ მრავალ მომთმენიანმა ხალხმა ამ 8 თვის განმავლობაში, სწორეთ იმიტომ რომ ვერც ერთი მათგანი ვერ მიწვდა იმ მჭერ-მეტყველურ სიჩუმეს, იმ სურვილებს და საწადელს, რაც ასე ესაპიროებოდა მრავალ-ტანჯულ, ნათმენ მშრომელ ხალხს—მასსას.

ლენინი მოგვითხრობს ერთ თვის საყურადღებო წიგნაკში. (სახ. „შეიჩრჩენენ თუ ვერა ძალა-უფლებას ბოლშევიკები.“) შემდეგს: „იულისის დღეების შემდეგ კერენსკის მთავრობის წყალობით იძულებული გავხდი არა ლეგალურათ მეცხოვრა. პატარა, მივარდნილ—მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობდი—გლეხთან. რა საკვირველია, ჩვენ ძმას, მხოლოთ მუშა თუ შეინახავს! შემოაქვთ სადილობის დროს პური. მე როგორც ცხოვრებაში უზრუნველ ყოფილი, გატაცებული ვიყავი საკუთარი საქმეებით და სულაც არ დაუკვირდი, თუ რა შემოიტანეს.—ბატონო, უყურებთ ამ თეთრ-პურს? ახლა თეთრი პური გვაქვს! მომმართა სახლის პატრონმა.—როდესაც ძალა დავატანეთ—თეთრი პური მოგვცეს! ერთი კიდევ მივაწვეთ—გამყვლეფელებს და მერე საქმე უკეთესათ წავაო (ციტატა ზეპირათ მომყავს. იხ. დასახელებული წიგნი. გ. მ.) ასე აზროვნობს იქ, სადღაც მიყრუებულ სოფელში გლეხი, რომელსაც სამკურნალო წამალივით ესაჭიროება მასაზრდოებელი მიწა. რომელსაც, ჩვენ თუ „დედა-მიწას“ ვეძახით, ისიც „მატუშკა ზემლიას“ უწოდებს. 1905 წელშიაც მოითხოვდა გლეხ-კაცობა მიწების კონფისკაციას, მაგრამ ჩვენი მენშევიკები მაშინ, ისე როგორც 1917 წლის რევოლიუციაშიაც, ამას სოციალიზმის დამყარებას უწოდებდენ და მიწების ასე ერთი დაკვრით კონფისკაციას როგორ გაიგონებდით. ყველგან გესმოდათ: „მოიცადე, მოიცადე! ასე ერთბაშათ როგორ შეიძლება! თავის დროზე მოგეცემათო.“ და „მოცდა—მოცდაში“ მშრომელი გლეხ-კაცობა შიმშილით ამოწყდა! შემდეგ კი შენგან მიცემულ მიწას რა თავში იხლის! ჩვენი მენშევიკები ხშირათ იმოწმებენ ბოლშევიკების წინაალმდეგ კ. კაუცკის, რომელიც, როგორც ამ რევოლიუციის, ისე 1905 წლის რევოლიუციის შესახებაც მრავალ წერილს უძღვნიდა რუსეთს. კაუცკი როგორც მაშინ, ისე ახლაც ამბობს, რომ რუსეთში სოციალიზმისათვის ჯერ ობიექტიური და სუბიექტიური პირობების განვითარება საკმაოთ არ არის ფეხ-მოკიდებული და ამიტომ მისი განხორციელებაც ერთობ ძნელიაო. მენშევიკები მხოლოდ ამ ნაწილს ეცემოდენ ხოლმე ყოველთვის და იმით გვებრძოდენ ჩვენ, ვითომც და ჩვენ ცდილვე, ვანხორციელებდეთ სოციალიზმს რუსეთში, ამ უმეტესათ გლეხ კაცურ ქვეყანაში. რამდენათ სოციალიზმის განხორციელებაა ბანკების შესახებ ან მიწების ნაციონალიზაცია, პირველის; კარგი იქნებოდა, რომ მენშევიკები შეკითხოდენ თვით კ. მარქს და ფრ. ენგელს („Гражданск. война во францін“ 1870-71 г.г.“).

მეორეზე კი ახლავე ვიტყვით თვით კ. კაუცკის პირით. აი რას სწერდა იგი 1906 წელს: „სამნაირი გზა აქვთ გლეხებს: მათ შეუძლიათ შეუერთდენ კონტრ-რევოლიუციონერებს ლიბერალების და სოციალისტების წინაალმდეგ. ანდა ლიბერალებს შეუერთდენ მათი მარცხენა და მარჯვენა მტრების წინაალმდეგ. ანდა, დაბოლოს შეუერთდენ სოციალისტებს, კონტრ-რევოლიუციონერებისა და ლიბერალების წინაალმდეგ, რომელნიც მაშინ აუცილებლათ რეაქციონერებათ გადაიქცევიან და თავს შეაფარებენ დესპოტიურ მთავრობას. სამართლიანი მოქცევა იქნებოდა, თუ გლეხები მესამე გზას აირჩევენ, რადგან გლეხს ყველაზე უწინ მიწა ესაჭიროება და ამ მიწას კი მიიღებს ის მხოლოთ სხვული საკუთრების კონფისკაციით.“

გერმანიის ს. დ.-ის ცენტრის წარმომადგენელი ზომიერი სოციალისტი კაუცკი 1906 წ. ურჩევდა გლეხებს, რომ ისინი მხოლოდ სოციალისტებს გაჰყოლოდნენ.

აი რას სწერს მეორე ადგილას იგივე კაუცკი: „ისინი (ე. ი. გლეხები) მოითხოვენ მიწაზე საერთო საკუთრების დაარსებას, ცხადია, ეს სოციალიზმი არ არის. მათ თემები და ობშინები სულაც არ უნდათ. მათ სურთ, რომ მიწა მთელი ხალხის ხელში იყოს. სოფლის „ობშინა“ კი არა, მთელი ხალხი უნდა იყოს მიწის ნამდვილი ბატონი. ეს მეტათ მშვენიერი აზრი გლეხების მართლაც რომ რევოლიუციონურია და სრულიადაც არა სოციალისტური.“

შემდეგ კაუცკი მოუწოდებს მას, ვისაც ეს ასე არ სწამს, ნახოს კ. მარქსის წერილი, გენრი ჯორჯზე რომ სწერდა მის ამხ. ზორგეს, სადაც იგივე აზრია გამოთქმული, როგორც თვით კაუცკის, მხოლოთ უფრო ხაზ-გასმით და გარკვეულათ.

დიახ, კაუცკი ყოველთვის კარგათ ხედავდა მას, რაც ანბანური ჭეშმარიტებაა რუსეთის ცხოვრებაში დღეს ანდა ხვალ სოციალიზმის განხორციელების შესახებ, მაგრამ ის რევოლიუციონურ ნაბიჯებს, დემოკრატიულ რეფორმებს ჩვენს მენშევიკებზე უკეთ არჩევდა სოციალიზმისაგან და მუშათა კლასისათვის მას არასოდეს არ უღალატნია ისე შეუგნებლათ და უსირცხვილოთ, როგორც ეს დაემართათ უმეტეს 1917 წლის რევოლიუციის დროს ჩვენს ოპორტიუნისტებს, მენშევიკებს. გლეხ-კაცობამ კარგათ იცის, რომ მას მიწას და განათლებას სრულიადაც არავინ არ მისცემს თუ სათავეში იქნება მისი მტერი: მიწის პატრონები, ან ბურჟუაზია, ანდა ბოლოს მასთან შემთანხმებელიც, თუმც ეს უკანასკნელი კარგი ყოფილი მეგობარიც კი იყოს მშრომელი კლასის. გლეხი, და მასთან ხალხი, ყველაზე უწინ ძალას აფასებს, ძალას მის მტრების წ ნამდვილ მიმართულს. რამდენათ მისი ინტერესების დამცველი ამ ძლევა-მოსილებას დაანახვებს მას, იმდენათ ისიც ზურგს გაუმაგრებს ამ ძალის მატარებელს, რადენათ ისიც ნამდვილი რევოლიუციონური გზით ივლის მასთან ერთად, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მშრომელი კლასი, მუშა და უღარიბესი გლეხი შესდგენ ამ გზაზე. დღეს გლეხ-კაცობამ აასრულა ის რაც 1906 წ. მას კაუცკიმ ურჩია მუშა და გლეხი მტკიცეთ ერთი მეორეს ეძმო და შეუკავშირდა. ამის მოწამეა რუსეთის მეორე სიეზდი. მრავალ მილიონიანმა რუსეთის გლეხ-კაცობამ სცნო რევოლიუცია. რევოლიუციამ, ხალხური მთავრობის სახით მას მისცემს და გაუხორციელებს სურვილებს, რისთვისაც აუარებელი მსხვერპლი დაეცა და ცრემლი დაიღვარა!..

გეჯი-მარქსისტი.

## სოციალიზმის „მეშჩანები“

სწორეთ სასაცილო ამბავი ხდება დღეს, როგორც სიტყვით ისე მწერლობით მენშევიკები და ესერები, ეს სოციალიზმის მეშჩანები, დარიგებას აძლევენ ბოლშევიკებს ნუ მოუწოდებენ სოციალისტურ რევოლიუციისკენ ხალხს ვინაიდან რუსეთი ჯერ საკმარისათ არ არის მომზადებული.

მით უმეტეს სასაცილოა, როცა ეს ესმის მემარჯვენე ესერებისგან (ნაროდნიკებისაგან), რომელთაც დასწერეს აუარებელი გროვა ქაღალდებისა დასამტკიცებლათ იმისა, რომ რუსეთი ვითარდება თავის საკუთარის გზით, რომ სრულიათ საჭირო არ არის რუსმა განვლოს კაპიტალისტური განვითარების ყველა საფეხური, რომ რუსეთისთვის სავალდებულო არ არის განიცადოს ხანა, როდესაც სხვილი კაპიტალი გაერთიანდება შეიქნება ძლევა-მოსილი, დაიმორჩილებს სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგს, შეიპყრობს თვით მიყრუებულ კუნჭულებში და სამეურნეო ცხოვრების ყველა ძარღვს ხელს ჩაავლებს. სოციალიზმის სამეფოს ისინი აგვიწერდნენ, როგორც ახლო მომავლის საქმეს, თუნდაც იმავე დროს თვით სოციალიზმს გვიხატავდენ, როგორც მეშჩანურ იდილიას, რომელიც აღმოცენდება ისეთ გუმანიურ საფუძველზე, როგორიც არის: „მიწა არავისია. მიწა ღვთისაა“.

მათმა სულის ჩამდგმელმა ნ. კ. მიხაილოვსკიმ და დანარჩენმა ლიდერებმა რამდენი ოხუნჯობა და გესლი შეიტანეს რევოლიუციონურ მარქსიზმთან ბრძოლის საქმეში და როგორი, ბავშვის გულუბრყვილო მოგვაგონებს ნ. მიხაილოვსკის სიტყვები, როდესაც ის ამტკიცებდა, რომ დასავლეთ ევროპაში მუშათა კითხვა არის კითხვა რევოლიუციისა, ჩვენში კი ეს კითხვა სწყდება ურევოლიუციოთ.

ეხლა დრონი იცვალენ, როდესაც გლეხობა სიტყვებიდან—„მიწა არავისაა, მიწა ღვთისაა“ გადავიდა საქმეზე და მოინდომა მისი განხორციელება, მაშინათვე მემარჯვენე ესერებმა და მემამულეთა პარტიამ—კადეტებმა კავშირი შეკრა ერთმანეთში; „რუსეთის რევოლიუციის ბებიამ“ ბრეშკო ბრეშკოვსკის ქალმა, და სხვა ახალმა თუ ძველმა და აგრეთვე სულ ახალგაზრდა მარქსისტებმა მარტის ესერებმა ერთხმათ მოითხოვეს მიწის კითხვის გადადება დამფუძნებელ კრებამდის და დათანხმდნენ კიდეც მიეღოთ ამერიკის მილიარდერებისგან ფულით დახმარება ამ აზრების გასავრცელებლათ. როდესაც მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა გლეხების მოთხოვნილებას და გამოუცხადა ბურჟუაზიას სასტიკი ომი სოციალიზმისთვის, მაშინ სცენაზე გამოიყვანეს კ. მარქსი და გუშინდელმა „ნაროდნიკებმა“ უცბათ დაივიწყეს ნ. მიხაილოვსკი და მარქსის სახელით ეფიცებიან ქვეყანას როგორც მწერლობაში ისე მუშათა კრებებზე, რომ ჩვენში შეუძლებელია სოციალისტური რევოლიუცია და რომ მაშასადამე მუშები უნდა დაკმაყოფილდნენ პოლიტიკურის თავისუფლებით და ზოგიერთი რეფორმებით.

ესერებს უხარიათ, რომ მათ აღმოუჩნდათ მოკავშირენი წმინდა წყლის „მარქსისტები“—მენშევიკები, რომელნიც მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ ბურჟუაზიული მცნება მარქსის სახელით გაესაღებინათ, ამიტომაც იმ თავიდანვე რევოლიუციონურ მარქსიზმის მოწინააღმდეგენი მენშევიკებში მუდამ ხედავდნენ თავიანთ მეგობრებს და მათ ამყოლებს.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინეთ, როცა ფართო მასას ბევრი რამ სწამდა მათი, მენშევიკები სისულელეთ სთვლიდნენ თვით კითხვას დაყენებას სოციალისტური რევოლიუციის შესახებ რუსეთში.

ეხლა რაღას იტყვით ბატონებო, ნუ თუ ეხლაც ეს სისულელეთ მიგაჩნიათ? თქმა არ უნდა, ეხლა თქვენ მხოლოდ იმისთვის აყაყანდით, რომ ეს რევოლიუცია დღეს ფაქტად იქცა.

## მუშის სიმღერა

ვმუშაობდი, ოფლსა ვღვრიდი,
სხვისთვის ვქმნიდი ფუფუნებას,
სხვისთვის ვსჭედდი ამ ქვეყნიურს
ტკბილ სიცოცხლეს, ტკბილ ცხოვრებას.
სხვისთვის ვქმნიდი ოქროსა მთებს,
სხვისთვის ვქმნიდი ბატონობას,
სხვისთვის კოშკებს ვაშენებდი,
სხვისთვის ვქმნიდი მე განცხრომას...

მე კი ტანჯვას ვატარებდი,
უღელს ვსჭედდი მონობისა,
ჩემ ქოხმახში გაისმოდა
ხმა ტირილის, ხმა გლოვისა.
მაგრამ გულში სიძულვილი
გროვდებოდა, ზღვავდებოდა,
და ჩემ მიერ შექმნილ კერპის
დანგრევისკენ მიწოდებდა.

დღეს მას ვანგრევ საუკუნოთ,
დღეს მას ვაქცევ ნაცარ-მტვერათ.
წინ ვერავინ გადმეღობვის
მოღალატეთ, ხელშემშლელათ...
წინ, წინ ვიწევ, წინ მივდივარ,
ხელთ მიპყრია დროშა ძმობის,
მსურს სამეფოს მივაღწიო
სიყვარულის და ერთობის!

სანდრო ბურული.

მაგრამ თქვენ გაფრთხობთ არამც თუ რევოლიუციის დასაწყისი, არამედ ყოველი გაბედული ნაბიჯი, რომელიც მიმართულია ძველი ნაშთების მოსასპობათ.

ჩვენ თვალ წინ ინგრეოდა წოდებრივი და ეროვნული ჩარჩოები; უპირატესობანი, რომელნიც თითქო შეუდრეკელათ იდგნენ, მტვრათ იქცნენ, ჩვენი გლეხი აღარ იძლევა იმ კითხვას, რა კითხვასაც აყენებდა 500 წლის წინათ ინგლისელი გლეხკაცი: „როდესაც ადამი მიწას ხნავდა და ევა ართავდა, ვინ იყო მაშინ აზნაური?“

ჩვენი გლეხი დღეს ამბობს აზნაურის ძალა-უფლებას იმითი რომ იგი უსპობს მას მიწის საკუთრებას.

ომმა პირბადე ახადა კაპიტალისტურ მეურნეობის უვარგისობას და მუშათა კლასის წინ დააყენა კითხვა, როგორც კითხვა არსებობისა, წარმოების და განაწილების წინასწარი გეგმით მოწყობისა. ეს კითხვა არ არის კითხვა შორეულ მომავლისა, არამედ არის კითხვა ხვალინდელი დღისა, და თუ ეხლავე არ იქნა მიღებული ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის გეგმაზე მოსაწყობად, სრულიათ რუსეთის მაშტაბით, თუ არ განხორციელდა მუშათა კონტროლი წარმოებაში—უნდა ვიცოდეთ, რომ მრეწველობის კრიზისი და კაპიტალის სიდუხჭირე მთელი თავის სიმძიმით დააწვება მუშათა კლასსა და პროლეტარიატი იძულებული იქნება განიცადოს სასტიკი შურის ძიება ოქროს პატრონებისგან. პროლეტარიატმა იმიტომ კი არ გაშალა არწივის ფრთები, რომ ისევ ძირს დაწიოს და გველივით ისევ მიწაზე იხოხოს! ამოძრავდნენ ყველა სოციალური ძალები, ჩაერივნენ ბრძოლაში რევოლიუციონური ვნებათა ღელვანი სოციალიზმის სამეფოს დასამყარებლათ არა იმიტომ, რომ თავიანთი ძლევა-მოსილობა დაახურდავონ პაწია რეფორმებზე კეთილ მოწყობილ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, რომლისაც განამტკიცებენ მემამულეების, კაპიტალისტების და დრო მოჭმულ სამხედრო კასტის ლაქიები და კონოვალოვების, რაბუშინსკების, როდზიანკოების და კალედინების მეგობრები.

და აი ეს სოციალიზმის მეშჩანები ვაისა და უის მოსთქვამენ, როდესაც აშკარათა ხედვენ, რომ რევოლიუცია უკვე შეეხო კაპიტალისტურ წესწყობილების საფუძველს, თვით ბანკირებს არ შეუძლიანთ ისე ხელოვნურათ დაგვესხან ჩვენ თავს, როგორც მენშევიკებს და ესერებს— ამ ნაბიჯის გადადგმისთვის, ბანკი—შეადგენს უმთავრეს ძარღვს კაპიტალისტურ წესწყობილებისას, მის ტვინსა და სულსა. ამ რამდენიმე დღის წინეთ უნდა გეყურებინათ თუ რა სცენები ხდებოდა ბანკების კარებთან პეტერბურგში, მაშინ დარწმუნდებოდით, რომ დღეს ხდება ერთი რევოლიუციის უმთავრესი აქტთაგანი: მკვდარივით გალურჯებული სახე ბანკირებისა, მსხვილ შემნახველებისა და ბირჟების სპეკულიანტებისა ცხადზე უცხადესათ გვეუბნებოდნენ, რომ ამ წუთში სწყდება კაპიტალისტური წესწყობილების ბედ—იღბალი. მართალია, ბანკების ნაციონალიზაცია კიდევ არ მოასწავებს სოციალიზმის დამყარებას, მაგრამ ისიც მართალია და მას ყველაც კარგათ ხედავს, რომ რევოლიუცია უკვე გაშორდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის ფარგლებს და გარდაიქცა სოციალისტურ რევოლიუციათ არამც თუ ფორმით არამედ არსებითაც.

რევოლიუციონურ სოციალიზმის ყალბი მოვაჭრენი, ეს მარქსიზმზე წარა-მარა მოლაყბენი ჩვენ ბრძნულათ მიგვითითებენ ინგლისზე და გერმანიაზე, და გვეუბნებიან: აბა შეხედეთ იქ სამეურნეო განვითარების პირობები უფრო მომწიფებულია სოციალიზმისთვის, მაგრამ სოციალისტური რევოლიუცია ჯერ კიდევ არა ხდებაო.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მოსაზრება მხოლოთ თვალების ასახვევათ არის მოგონილი. გერმანიაში, როგორც ინგლისშიაც არ არის რესპუბლიკა, მაშასადამე თქვენის აზრით რუსეთში არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ პოლიტიკურ თავისუფლებებს, რა თავისუფლებებს ვერ ვხედავთ ინგლისში. მაშ შეუერდით, როგორც ამას ლოღიკა მოითხოვს, კადეტებს და მოითხოვეთ ორ პალატიანი კონსტიტუციონური მონარქია და მიანებეთ თავი სოციალიზმზე ყბედობას.

გერმანიაში რომ ეხლა სოც.რევოლიუცია მომხდარიყო რუსეთში სამეურნეო ურთიერთობა, მწარმოებელი ძალები სრულიადაც არ წაწევდნენ წინ სოციალისტურ რევოლიუციის მოსამწიფებლათ მიუხედავათ ამისა ბატონი რეფორმისტები, ბურჟუაზიული რევოლიუციონერები, მაინც მოითხოვენ ასეთ რევოლიუციის მხარის დაჭერას, რადგან მათი აზრით ცალკე რევოლიუციები ამა თუ იმ ქვეყნებში მარცხით თავდებიან. ასეთია მათი წინაალმდეგობა, მარა ახლა ხედვენ რომ ევროპაში უკვე მომზადდა გადამწყვეტი რევოლიუცია იმავე მიზეზების გავლენით როგორც ჩვენში.

ჩვენი მოწინაღმდეგენი გვეუბნებიან, რომ ჩვენს მხარეზე მხოლოთ „შტიკები“ არიან რომ სოციალურ-რევოლიუციის მოსახდენათ „შტიკების“ ძალას. ჩვენ ვსაჭიროებთ მაგრამ ამითი ვერ მოგვატყუებენ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ძალის მოხმარება რევოლიუციაში ბებია ქალის როლს ასრულებს ისტორიაში. იბადება ახალი წესწყობილება, მაგრამ ჯერ ის კიდევ არ დაბადებულა, ვინაიდან იგი იბადება აუტანელ წვალებაში, იგი ჩნდება უკანასკნელ კონტრ-რევოლიუციონერთა ბრძოლაში, უკანასკნელ ციხე-სიმაგრესთან შებრძოლებაში იბადება სოციალისტური წესწყობილება, სულ ახალ-ახალი რაზმები უერთდებიან მებრძოლთა რაზმებს.

ხალხთა ნაციონალურ ფრონტის მაგივრათ, სადაც ისინი იბრძვიან კაპიტალისტების ინტერესებისთვის, სდგება ერთი რევოლიუციონური ფრონტი კლასთა ბრძოლისა, როგორც სოციალურ რევოლიუციის ბარიკადები. დროა გავიმიჯნოთ, დროა გამოაშკარავდეს, თუ ვინ ვისთან არის. ეს გამიჯვნა დღითიდღე ნათელი ხდება. პროლეტარიატის კლასიურ მტრების მხარეზე, ბურჟუების სამეფოში გადარბიან გუშინდელი „სოციალისტები“ და ყველა ისინი, ვისაც „შინებს სისწრაფე“ და მუშათა კლასის გამბედაობა. ამ სოციალიზმის მეშჩანებს კიდევ იმედი აქვთ გადაარჩინონ საყვარელი ბურჟუაზიული წეს წყობილება.

წადით ეხლა მუშათა კრებებზე და ილაპარაკეთ, სწერეთ თქვენს გაზეთებში, რომ დღეს ჩვენში არა ხდება სოციალისტური რევოლიუცია. თქვენ კარგათ იცით სიყალბე თქვენის სიტყვისა, მაგრამ თქვენ იცავთ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ვინაიდან ეს წესწყობილება უკანასკნელ წუთებში თქვენთვის უფრო მონათესავე გამოდგა ვიდრე სოციალისტური წესწყობილება. ს. დ.

### აუცილებელი საჭიროება.

რუსეთის რევოლიუციის ბოლომდის მისაყვანათ და დასაგვირგვინებლათ საჭიროა მშრომელი ხალხის შეგნება და გათვითცნობიერება, იმ მშრომელი ხალხის, რომელიც სულის ჩამდგმელია რევოლიუციის, ეს ჭეშმარიტება დღეს ყოველ ნამდვილ რევოლიუციისათვის აშკარა უნდა იყოს. რაც ჩქარა გათვითცნობიერდება მშრომელი ხალხი, შეიგნებს და ხორცს შეასხამს რევოლიუციას, მით ჩქარა იგემებს ტანჯულთა ქვეყანა რევოლიუციის სასიკეთო ნაყოფს და მით მისი ბრწყინვალე გამარჯვებაც უზრუნველ ყოფილი იქნება. ეს კარგათ უნდა იცოდეს მუშათა კლასმა: ამიტომ მან დაუყონებლივ უნდა შეიძინოს და მოიმარჯვოს ის იარაღი, რომელიც მას დღევანდელ ხელ-ჩართულ ბრძოლაში მტერთან გამარჯვებული გამოიყვანს ბრძოლის ველიდან. ეს იარაღი კი არის მისი გათვითცნობიერება, ესე იგი შეგნება იმის, თუ რევოლიუციამ რა უნდა მისცეს მას, რა უნდა მისცეს იმ მშრომელ ხალხს, რომელმაც წარმოშვა რევოლიუცია იმტკივილების გასაქრობათ, რომლებსაც განიცდიდა ის საუკუნოების განმავლობაში. როგორ შეიძინება ეს იარაღი? მას შესაძენათ რევოლიუციის დროს მხოლოდ ერთათ-ერთი საშვალება მოიპოვება: სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა—აგიტაცია. ყოველი ჭეშმარიტი რევოლიუციონერი დღეს გამოაჩენს თავის რევოლიუციონერობას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. საჭიროა იქ, სადაც ჯერ კიდევ სიბნელე მეფობს და მშრომელი მასის გონება დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების გაურკვევლობის ბურუსით არის მოცული შევაშუქოთ ჭეშმარიტების ბრწყინვალე სხივები. საჭიროა აუხსნათ და გაურკვიოთ ხალხს დღევანდელი აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა და უჩვენოთ მას ის ნამდვილი გზა, რომელიც იხსნის რევოლიუციას დაღუპვისაგან. ეს კი შეიძლება, როგორც სიტყვიერი ისე ბეჭდვითი პროპაგანდა აგიტაციით. სიტყვიერი პროპაგანდისთვის საჭიროა ხალხში მომუშავე შეგნებული და ბრძოლაში გამოწრთვნილი მუშაკები.

ბეჭდვითი პროპაგანდისათვის კი საჭიროა მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი ჟურნალ-გაზეთები და წიგნებ-ბროშურები.

მართალია ბეჭდითი პროპაგანდას ესაჭიროებიან კალმის მომუშავენი, ინტელიგენტები, რომლითაც მუშათა კლასი დღეს სუსტობს, რადგან ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ დიდი ხანია, რაც გაწყვიტა მასთან კავშირი და გადაიბარგა ბურჟუაზიის ბანაკში, მუშათა ინტელიგენცია კი მხოლოთ დღეს იდგამს ფეხს მაგრამ ამ მხრივ ქართველი მუშათა კლასი არ უნდა შეშინდეს, რადგან, როგორც ზევით ვთქვი, მუშათა ინტელიგენცია დღითი დღე იზრდება.

მაგალითისთვის ავიღოთ რუსეთის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა. განა მათ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ეხმარებათ, რომ დღეს ორმოცამდე მარტო ბალშევიკურ ჟურნალ-გაზეთებს უშვებენ? რასაკვირველია, არა! მარა ეს აიხსნება იმით, რომ იქ, განსაკუთრებით, სამრეწველო ცენტრებში, უფრო ძლიერათ შეკავშირებული არიან მუშები, ვინემ ჩვენში. საჭიროა აქაც შევკავშირდეთ და მივბაძოთ რუსეთის ამხანაგებს. დავიჯერო, რომ ქართველი მუშები და ღარიბი გლეხ-კაცობა ორსამ თავის ინტერესების ნამდვილ დამცველ გაზეთებს ვერ აცოცხლებენ! ეს დაუჯერებელია, საჭიროა მხოლოთ მეტი ენერგიის გამოჩენა და მეტი მუშაობის გაჩაღება. ავიღოთ გაზეთი „ბრძოლა“. განა შეუძლია ამ პაწაწკინტელა გაზეთს მიაწოდოს ქართველ პროლეტ. და ღარიბ გლეხ-კაცობას, რომელთა ინტერესების გამომხატველია ის, საჭირო ცნობები რევოლიუციის მსვლელობაზე, რომლებიც რედაქციას მოეპოვება? განა შეუძლია მას თავის ფურცლებზე დაიტიოს მუშათა გამოჩენილ მწერლების, კ. კაუცკის, ცეტკინის, ლიუქსემბურგის, ლენინის და სხვების წერილები, რომლებიც რუსეთის მუშათა გაზეთებში ხშირათ ისტამბება? რასაკვირველია არა. ავიღოთ ეხლა ქართულ ენაზე მუშებისთვის საჭირო წიგნების გამომცემლობა დღეს თუ ქართველ მუშებში წიგნების საჭიროება არ არის, მაშ როდისღა უნდა დარჩეს? ამ მხრივათაც ქართველი მშრომელი ხალხი ნადვილ შიმშილს განიცდის, რამდენი სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე დაბეჭდილი წიგნები იცემა რუსეთში და ათიათ სობით ვრცელდება რუსეთის მუშათა მასაში, რომლებზედაც წარმოდგენა არა აქვთ ქართველ მუშებს. განა საჭი-

რო არ არის, რომ ითარგმნებოდეს ის წიგნები და იცემოდეს ქართულ ენაზე, ქართველ მუშებისათვის? რასაკვირველია არის. მერე ვინ უნდა იზრუნოს ამისთვის? ისევ ქართველმა მუშებმა.

საჭიროა დაუყონებლივ შედგეს ქართველ მუშებისაგან წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი ამხანაგობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ პროლეტარიატისთვის და ღარიბ გლეხკაცობისთვის არ დარჩება ეს ჩემი ხმა „ხმათ ღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ამ მისთვის მომწიფებულ მოთხოვნილებას თვითონ განახორციელებს.

**სანდრო.**

# უკბილო ჩიფჩიფი.

„ჯარმა იარაღი დაჰყარა და ბოლშევიკების უმგვანო, დეზორგანიზაციული აგიტაციის მეოხებით ფრონტი მიატოვა“.

„ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკების მიერ გამოწვეულ ანარქიის მეოხებით სამხედრო მდგომარეობა აუტანელი ხდება“..

„მთელი რუსეთი ბოლშევიკების ავანტიურის მეოხებით მრავალი ეკონომიური ერთეულებათ გადიქცა და ამიერ-კავკასიისა და ცენტრალურ რუსეთს შორის მიმოსვლა შეუძლებელი გახდა“.

„მეოთხე წელიწადია, რაც მსოფლიო ომი სწარმოებს და მის საშინელ ტვირთის ქვეშ მთელი ხალხი დრტვინავს“.

„ხალხს ომი აღარ შეუძლია და აღარც რაიმე სურვილი აქვს იგი გააგძელოს“.

ეს სტრიქონები ამონაწერია „ერთობის“ ერთ-ერთ ნომრიდან.

ამ სტრიქონების დაწერის დროს ავტორი ნეტავი თუ ფიქრობდარამეზე, გარდაიმისა, რომ როგორმე ბოლშევიკებს უჩქმიტოს. მაგრამ ნამდვილათ კი ავტორმა თვითონ იჩქმიტა და ისე მწარეთ, რომ მთლათ დაებნა დავთარი და რასაც ერთ აბზაცში ამტკიცებს მეორეში უარს ყოფს!

დღეს ყველა ცოტათ თუ ბევრათ კეთილსინდის-ერი ადამიანისთვის ცხადია, რომ კავკასიის ფრონტის დაცლაში ბოლშევიკები არაფერ შუაშია. თვით „ერთობას“ არა ერთხელ ყოყოჩობით წამოუძახნია ჩვენთვის, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, კავკასიაში უძლურნი ვართ და ისინი კი ყოვლის შემძლებელნი. ყოველ ღონეს ხმარობდენ ისინი რომ ჩვენი გავლენ საგან როგორმე დაეფარათ კავკასია და მისი ფრონტი. ამის მიზნის მისაღწევათ არავითარ საშვალებას არ ერიდებოდენ. ჩვენს გაზეთებს არ აჭაჭანებდენ ფრონტზე. უმალავდენ არამც თუ ჯარს, თვით მცხოვრებთაც კი ყველაფერს რაც ბოლშევიკების სასარგებლო ცნობები მოდიოდა ჩრდილოეთიდან. არჩევნების დროს დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა მიიღეს ესერებმა მიუხედავათ ამისა კავკასიის ფრონტი დნება. რისთვისმოხდა ეს? ჩვენ ვამტკიცებთ (და ამის წინააღმდეგ მენშევიკ ესერებიკრინტს ვერ დასძრავენ, თუ სულ არ გარეცხილან ნამუსისგან), რომ არის ეს გამოწვეული „ერთობიდანვე“ ამონაწერი უკანასკნელ სტრიქონებში დასახელებული მიზეზებით მეორე მხრით კი ეს გამოიწვია მათმა წინდაუხედავმა პოლიტიკამ ჯარების ნაციონალიზაციის საქმეში.

დღეს ცხადია ყველა მისთვის, ვისაც კი შერჩენია ცოტაოდენი მიუდგომლობა, რომ სწორეთ იმ ფრონტის ჯარი სადაც ბოლშევიკებია გაბატონებული, მტკიცეთ დგას თავის პოზიციაზე. ასეთია ჩრდილოეთის ფრონტი.

იქ კი, სადაც დღემდის ნიკოლოზ მეორის გენერლები უდგანან ჯარს სათავეში, როგორც არიან შჩერბაჩოვ-პრჟევალსკები, და სადაც ესერები-მენშევიკების ეროვნული მოკავშირეები—ფარფაშობენ, სწორეთ ეს ფრონტები იშლებიან, ასეთია კავკასიის და რუმინიის ფრონტები.

რაც შეეხება მესამე ამონაწერს.—ეს ხომ იმას გავს: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო.

თითქოს ბოლშევიკებს დაეყოთ რუსეთი ნაწილ-ნაწილათ!

თქვენ თითონ ჩამოშორდით პეტროგრადის პროლეტარიატს და დონსხურგში ამოეფარეთ, კარაულოვთან დიპლომატიური ფუჩუნი გამართეთ, გაჯიუტდით და რევოლიუციასთან კავშირის გაბმის მაგიერ კონტრ-რევოლიუციასთნ მეგობრული ქსელი გააბით. ბოლშევიკები აქ რა შუაშია? გაუწოდეთ მეგობრულათ ხელი პეტროგრადის პროლეტარიატს, მიიტანეთ მასთან ერთათ იერიში დემოკრატიის საერთო მტერზე—კალედინზე— და ნახავთ მაშინ თუ რუსეთი ისევ არ გაერთიანდეს დაძმური კავშირით შეერთებულმა არ გასწიოს წინ ბრწყინვალე მომავლისკენ.

**ს. თ.**

# რუსეთის ქრონიკა.

მუშათა და გლეხთა მთავრობა და ყაზახობა.

მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მთავრობის სახელით სახალხო კომისარების საბჭო მთელ მშრომელი ყაზახობას, დონისას და ყუბანისას, ურალისას და ციმბირისას უცხადებს, რომ მისი უახლოესი მიზანია მიწის საკითხი მოაგვაროს და გადაჭრას ყაზახთა საცხოვრებელ ადგილებში მშრომელ ყაზახების ინტერესების საფუძველზე და საბჭოს პროგრამის თანახმათ; აგრეთვე დაცული იქნება და მხედველობაში მიღებული ყველა განსაკუთრებული და ადგილობრივი პირობები მშრომელ ყაზახთა ყოფა-ცხოვრებისა.

ამ ხანად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სავალდებულო სამხედრო ბეგარა ყაზახებისა გაუქმებულია და ნაცვლათ ამისა შემოღებული იქნება მოკლე ვადიანი სამსახური სამხედრო ვარჯიშობისათვის, რაიცა შესრულებული უნდა იქნას ყაზახთა სტანიცებშივე.

2. ჯარში გაწვეულ ყაზახების შემოსვლა და შეიარაღება უნდა მოხდეს სახელმწიფო ხარჯზე.

4. უნდა მოისპოს ყაზახების ყოველკვირეული მორიგეობა სტანიცების სამართველოებში. აგრეთვე — ზამთარში ვარჯიშობა, აღლუმების მართვა და ბანაკები.

5. უნდა მიენიჭოს ყაზახებს გადასვლ-გადმოსვლის სრული თავისუფლება.

6. სახალხო კომისარების საბჭოსთან არსებული სათანადო ორგანო ავალებს სამხედრო საქმეთა კომისარს წარუდგინოს საბჭოს ყველა ზემოთ დასახელებულ პუნქტებზე შესაფერი კანონპროექტი დასამტკიცებლათ.

სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი, სამხედრო საქმეთა კომისარი: ნ. პოდვოისკი, საბჭოს საქმეთა მმართველი: ვლ. ბონ-ბრუევიჩი, მდივანი: ნ. გორბუნოვი.

დეკრეტის პროექტი.

რომელიც შეეხება ქალაქის უძრავი ქონების კერძო პირთაგან ჩამორთმევას და ქალაქის თვითმართველობის ხელში გადასვლას (გადმოღებულია შემოკლებით).

სტ. 1. უქმდება კერძო საკუთრების უფლება ყველა საქალაქო მიწებზე გაუმჯობესებელი: გაშენებულია რამე სად, თუ თავისუფალია, რომლებიც კი ქალაქის მოსახლეობის საზღვრებში მდებარეობენ.

სტ. 2. უქმდება აგრეთვე კერძო საკუთრების უფლება ქალაქის ყველა იმ შენობებზე, რომლებიც პატრონებს დანიშნული ჰქონდათ გასაქირავებლათ და არა საკუთარ საწარმოვო-სამრეწველო საქმისთვის ან საკუთარი ბინისთვის.

სტ. 6. ქალაქის მთელი მამული და ყველა ის შენობები, რომლებიც ამ დეკრეტის თანახმათ აღინუსხება, გადადის ხალხის კუთვნილებათ და ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში.

# წერილები რედაქციის მიმართ.

გაზ. „ალიონის“ № 64 მოთავსებულია წერილი ბ. „მ. შეუპოვარისა“. ამ ნაძალადევათ შეხანხლულ აბდაუბდამ რომ შეცდომაში არ შეიყვანოს მკითხველი საჭიროთ მიმაჩნია პასუხი გავცე.

„შეუპოვარი“ ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილის წინააღმდეგ ილაშქრებს, იმ ადამიანის წინააღმდეგ რომელსაც თავისი ახალგაზრდობა ხალხის სამსახურისთვის შეუწირავს, რომელმაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ერკეთის საზოგადოებაში სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს, მაგალითად: ორკლასიან სასწავლებლებს, წიგნთ-საცავ სამკითხველოს, კოოპერატივებს და სხ., იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც თუთხმეტი წელიწადია დაუღალავათ და შეუდრეკელათ იბრძვის ხალხის საკეთილდღეოთ და ერთხელაც არ უღალატია დემოკრატიისთვის და რომელიც შეუპოვრათ ებრძვის სოფლის სხვა და სხვა გაიძვერებს და ხალხის მატყუართ.

აი რას წერს ეს ვაჟბატონი: წამსვე შეუდგენ განძის (ე. ი. „ზოტის ტყის“), განადგურებას, რასაც დიდ ხელმძღვანელობას უწევს ვითომ და მოწ ნავე ამხ. გ. მ. მ—შვილი“. მართლა რაშია საქმე? „ზოტის ტყე“ ეკუთვნის რამდენიმე ათეულ მოსახლეს, გვარათ კაკელიძეებს. აქიდან გ. მ—შვილს უწევს ერთი მეასედი ე. ი. დაახლოვებით 20-30 დღ'. როგორც მკითხველმა უწყის, აწ უკვე განსვენებულ მენშევიკ ესერების ბურჟუაზიულ მთავრობის კანონი რუსეთის მოქალაქეს ნაჭრობით ადგილის გაყიდვის უფლებას აძლევდა. კაკელიძეებმა ისარგებლეს ამ კანონით და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ბ. გიორგაძისაგან ტყის გამიჯვნის ნებართვა აიღეს, და თუ გრიგოლ მგალობლიშვილმა თავისი წილხდომილი მცირე ტყე დაიმიჯნა თუ გინდ გაყიდა (რაც მას არ ჩაუდენია), ესაა ხალხის ღალატი? ბ. მ. შეუპოვარო! როდესაც თქვენი უთავბოლოთ ნაცოდვილებ წერილს ჯღაბნიდით, მაშინ თქვენ გამოძრავებდათ არა ხალხის ინტერესები, არამედ პირადი შურის ძიება, თქვენ გინდათ ჩირქი მოსცხოთ ამხ. გ. მგალობლიშვილს და ავტორიტეტი დაუკარგოთ საზოგადოებაში, რასაც ვერ მოესწრებით ვერასოდეს. რაც შეეხება თქვენი წერილის ნაწილს, რომელიც მიმართულია მასწ. გრიგოლ როგავას პიროვნების დასამცირებლათ, მე აქ იმაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, რადგანაც ამხ. „გრიშა მეგრულმა“ „ბრძოლის“ № 49 უტყუარ ფაქტებით საკმაოთ გაარკვია ეს კითხვა. მე მხოლოდ შემდეგს დავსძენ: ერკეთის ორკლასიან სკოლას ყავს ქალიან კაციანათ ხუთასზე მეტი წევრი. შეთქმულთა კრებას დაესწრო ქალიან ბავშვიანათ ასამდე წევრი, და არა „ორასამდე“ როგორც თქვენ სწერთ ცრუ კორესპონდენტო; ამათგან 65-70 პროც. თქვენი ძმა-ამხანაგები და ამყოლ-დამყოლნი იყვნენ სკოლის საბჭოს წევრებათ აირჩიეს ი. გორდელაძე და ძმ. ანთაძეები და არა მიხ. დ. მინდაძე, როგორც თქვენ ბოდავთ ბ. „მ. შეუპოვარო“. თქვენ გინდოდათ სრული გამარჯვება. მაგრამ ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილმა სხვა ამხანაგების დახმარებით იმდენი მოახერხა ხმების დაქსაქსვით, რომ თქვენ მხოლოდ საბჭოს კანდიდატთა სიაში დარჩით. აი ფაქტები რას ლაპარაკებენ. ხომ გაგიგონიათ „ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო“.

დასასრულ არ შემიძლია არ მიულოცო სოციალ-პატრიოტების ორგანოს— „ალიონს“ ასეთი სასიქადულო კორესპონდენტის შეძენა.

**მებრძოლი.**

პირველი რაიონის ბიურო ბოლშევიკებისა ამხანაგებს თხოვს დახმარება გაუწიონ შემოწირულებით, როგორც ფულით ისე წიგნებით და ბროშურებით, რომ ბიუროსთან მოეწყოს ბიბლიოთეკა. შემოწირულება მიიღება გაზეთ „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში და 1 რაიონის ბიუროში (ჩერქეზოვის ქუჩა № 135) 5 საათ.—8 საათამდე.

პირველი რაიონის ბიურო ბოლშევიკებისა ამხანაგებს სთხოვს შემოიარონ ბიუროში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 135, რომ ძველი საწევრო ბილეთები ახალზე 1918 წლის ბილეთებზე გამოცვალონ, რადგან პარტიის წევრებათ ისინი ჩაირიცხებიან, ვისაც ასეთი ბილეთები ექნებათ მიღებული.

18 იანვარს, ხუთშაბათს, 5 ნახ. ს. საღამოს ავლაბრის კლუბის დარბაზში (კახეთის ქუჩა № 1) შედგება საერთო კრება მე-3 რაიონის წევრთა (რ. ს. დ. მ. პ ბოლ.).

დღის წესრიგი:

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2. მოხსენება მე-3 რაიონ. კომიტეტის.
3. არჩევა რაიონულ კომიტეტის.
4. საქალაქო საერთო კონფერენციის დელეგატების არჩევა.
5. თფილისის ორგ ნიზაციის წესდების პროექტი.
6, მიმდინარე საქმეები. ამხანაგებს ვთხოვთ საწევრო ბილეთები თან იქონიონ.

### ქ უ თ ა ი ს შ ი

21 იანვარს შედგება მთელი გუბერნიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. დაწვრილებითი ცნობებისათვის ამხ. ვთხოვთ მიმართონ ვორონცოვის ქუჩაზე „ლამპარში“ კანცელარს.

თფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფეთა კომიტეტის აღმასრულებელი კომისია აცხადებს ამ სასწავლებლის მოსწავლეთა საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა ამ სასწავლებელში დაიწყება 20 იანვრიდან.

რ. ს.-დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (ბოლშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მაზმულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.